

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N1

ქ.თბილისი

30 ოქტომბერი, 2025 წელი

11⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბექა დავითულიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

ბექა ოდიშარია

ლევან არველაძე

შალვა ოგბაიძე

ალექსანდრე ასათიანი

ვალერიან პაპუაშვილი

ირაკლი ბენდელიანი

შალვა პერანიძე

კახა ბერაძე

მიხეილ რეხვიაშვილი

ნოდარ ბოკერია

შალვა სუთიაშვილი

ბექა გელენავა

ვახტანგ სურგულაძე

გიორგი გვენეტაძე

დავით ფანჯაკიძე

მარიამ გრიგოლიშვილი

გიორგი ქარდავა

გიორგი დოხტურიშვილი

შოთა ქევხიშვილი

ნინო ვარდოსანიძე

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

კონსტანტინე ზარნაძე

ზურაბ ჩიკვილაძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ცოტნე ჩიქვინიძე

ვაჟა კოკაია

ოთარ ჩრდილელი

ლალი კოლომიკოვი

გივი ჩხარტიშვილი

ჯაბა კოლუა

ავთანდილ ცინცაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

ლუკა ძაძამია

შალვა მაისურაძე

ზაქარია წიკლაური

ბექა მენთეშაშვილი

ქეთევან ჭავჭავანიძე

ბექა მიქაუტაძე

დავით ჭელიძე

ალექსანდრე მუკათარიძე

მამუკა ხაზარელი

გურამ ნიკოლაშვილი

დავით ხაბეიშვილი

არჩილ ნიჟარაძე

გიორგი ხუროძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი;

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი გიორგი ჯავახიშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი გიორგი ხვედელიძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, მოიწვია საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და გახსნა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილმა. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკრებულოს წევრებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის სახელით, მიულოცა თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრად არჩევა. აღნიშნა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2025 წლის 4 ოქტომბრის თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები ჩაატარა საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით და განაცხადა, რომ არჩევნები წარიმართა გამჭვირვალე, მშვიდ და ორგანიზებულ გარემოში, კანონით განსაზღვრული ყველა ეტაპის დაცვით. საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყო ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოხატვა და არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისთვის თანაბარი პირობების შექმნა. საარჩევნო ადმინისტრაციამ თბილისში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში, ფართო მასშტაბით გამოიყენა საარჩევნო ელექტრონული აპარატები, რითიც კიდევ უფრო გაიზარდა პროცესის სიზუსტე, გამჭვირვალობა და სანდოობა. ამასთანავე, შემცირდა წინასწარი შედეგების გამოქვეყნების დრო, რაც ამ შემთხვევაში შეადგენდა 1 საათსა და 25 წუთს, საარჩევნო უბნების დახურვიდან. მისი თქმით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საარჩევნო პროცესის ყველა ფაზა მიმდინარეობდა საჯაროდ, ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების, პოლიტიკური პარტიებისა და მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მათ და განაცხადა, რომ საარჩევნო პროცესში მათი ჩართულობა და დაკვირვება, თავის მხრივ, ხელს უწყობდა პროცესის გამჭვირვალობას და საზოგადოების ინფორმირებას. საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა, როგორც ყოველთვის, ახლაც ეფუძნებოდა უმაღლესი პროფესიული სტანდარტების, მიუკერძოებლობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამომრჩეველთა ინფორმირებას, არჩევნების ინკლუზიურობას და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას, რაც საქართველოს საარჩევნო სისტემის განვითარებისთვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს. გიორგი კალანდარიშვილმა მადლობა გადაუხადა თითოეულ ამომრჩეველს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და ყველა მონაწილე მხარეს, მათ შორის, საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებს, პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით შესრულებული საქმიანობისთვის. აღნიშნა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, არჩევნების საბოლოო შედეგები შეაჯამა 15 ოქტომბერს, ახალი მოწვევის საკრებულო დაკომპლექტდა 50 წევრით, მათ შორის, 25 პროპორციული და 25 მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული წარმომადგენლით და თითოეული მანდატი ძალაში შევიდა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან, კერძოდ, 29 ოქტომბერს, რაც, თავის მხრივ, ქმნის სამართლებრივ საფუძველს საკრებულოს ახალი მოწვევის პირველი სხდომის ჩასატარებლად. აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა მოიწვია ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, განაცხადა, რომ თბილისის საკრებულოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია დედაქალაქის განვითარების თვალსაზრისით, ამასთანავე, გააჩნია უდიდესი პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე და მიმართა საკრებულოს წევრებს: „გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმიანობაში ქალაქისა და ქვეყნის განვითარებისთვის. დაე, თქვენი გადაწყვეტილებები მუდამ ემსახურებოდეს საზოგადოების ინტერესებს, მოქალაქეთა კეთილდღეობას და იმ ნდობის გამართლებას, რომელიც ამომრჩევლებმა თქვენზე დაამყარეს“. აქვე, განაცხადა: „ვისარგებლებ შემთხვევით და დედაქალაქის ახლადარჩეულ მერს მივულოცავ არჩევნებში გამარჯვებას და, მის გუნდთან ერთად, ვუსურვებ ნაყოფიერ და წარმატებულ საქმიანობას დედაქალაქის საკეთილდღეოდ“. გიორგი კალანდარიშვილმა საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარედ მიიწვია საკრებულოს უხუცესი წევრი შალვა ოგბაიძე და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ყურადღებისთვის.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე შალვა ოგბაიძემ დაიკავა მისთვის განკუთვნილი ადგილი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და თითოეულ თანამშრომელს კეთილსინდისიერი შრომისთვის. აღნიშნა, რომ მისთვის უდიდესი პატივია, საკრებულოს უზუცესი წევრის სტატუსით, წარუძღვეს დედაქალაქის VIII მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომას. მან მადლობა გადაუხადა თითოეულ თანამოქალაქეს გამოცხადებული ნდობისთვის და ისურვა, რომ ოთხწლიანი მუშაობის შემდეგ, საკრებულოს წევრებთან ერთად, იამაყოს თბილისისა და თბილისელებისთვის გაკეთებული საქმეებით. შალვა ოგბაიძემ კოლეგებს მიულოცა საკრებულოს წევრობა და კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: სხდომის თავმჯდომარე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების რეგისტრაციის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარეგიონო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

მომხრე - 46

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა სხდომის თავმჯდომარე შალვა ოგბაიძემ და მიმართა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატები.

ზურაბ ჩიკვილაძემ სხდომის თავმჯდომარეს გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ზურაბ აბაშიძის არჩევის შესახებ წერილობითი წარდგინება, რომელსაც ხელს აწერს საკრებულოს წევრთა უმრავლესობა (წარდგინება ოქმს თან ერთვის).

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილია მხოლოდ ზურაბ აბაშიძის კანდიდატურა, რომელსაც მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, მათ შორის, ცენტრალურ ხელისუფლებაში - უშიშროების საბჭოში, იუსტიციის სამინისტროში, კონტროლის პალატაში, შემდგომ დიპლომატიურ სამსახურში და ასევე, იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. აქვე აღნიშნა, რომ ზურაბ აბაშიძე იყო VII მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2025 წლის მაისიდან საკრებულოს თავმჯდომარე, რა დროსაც ბრწყინვალედ ახორციელებდა უფლებამოსილებას და კითხვით მიმართა მას, არის თუ არა თანახმა კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. ზურაბ აბაშიძის თანხმობის შემდეგ, შალვა ოგბაიძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ზურაბ აბაშიძის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა, პირველ რიგში, თბილისის მოსახლეობას, რომელმაც დაიჯერა „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ძალის და 4 ოქტომბრის არჩევნებზე ნდობა გამოუცხადა და დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა თბილისის საკრებულოს თითოეულ წევრს. განაცხადა, რომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იყო დედაქალაქის საკრებულოს წევრი, ხოლო ორმაგად დიდი პასუხისმგებლობაა გახდეს საკრებულოს თავმჯდომარე და მადლობა გადაუხადა საკრებულოს თითოეულ წევრს ნდობის გამოცხადებისთვის. მან ასევე, მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას: პარტიის თავმჯდომარეს - პრემიერ-მინისტრს, გენერალურ მდივანს - დედაქალაქის მერს, გამოცხადებული ნდობისთვის და მიმართა საკრებულოს წევრებს: „მინდა, თქვენთან ერთად, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ძალიან ნაყოფიერი, ძალიან პროდუქტიული, სამუშაო განვახორციელო იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს გაცემული ძალიან ბევრი დაპირება ჩვენი მოქალაქეებისთვის და სწორედ ეს მომდევნო ოთხი წელიწადი გვჭირდება იმისთვის, რომ ის მიმართულებები, ის პროგრამები და ის დაპირებები, რომლებიც არაერთგზის იყო გაცემული, ყველამ ერთად შევასრულოთ და პირნათლად წარვსდგეთ მოქალაქეების წინაშე, როგორც ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობით, ასევე, ყოველი წლის ბოლოს გაკეთებული ანგარიშით“. ზურაბ აბაშიძემ საკრებულოში საქმიანობაში წარმატებები უსურვა ოპოზიციის წარმომადგენლებს და მიმართა მათ: „მინდა მჯეროდეს და მწამდეს, რომ ჩვენ კონსტრუქციულ რეჟიმში გავაგრძელებთ მუშაობას, ვინაიდან ჩვენ ვართ მზად და ღია ამისთვის. თქვენთან მუშაობა იქნება ძალიან მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით, რომ თქვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებები, პოზიციები, შეხედულებები აუცილებლად იქნება ჩვენს მიერ გაზიარებული და გვექნება შესაძლებლობა, რომ ამ საკითხებზე ყოველთვის გვექნება მსჯელობა... ჩემი კარი ყოველთვის ღია იქნება თქვენთვის“. საუბრის

ბოლოს, მან წარმატებები უსურვა VIII მოწვევის საკრებულოს და განაცხადა: „მინდა, რომ ყველამ ერთად, ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გავაკეთოთ“. ზურაბ აბაშიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. მან ხსენებულ თანამდებობაზე დაასახელა ბექა დავითულიანის კანდიდატურა და აღნიშნა, რომ ბექა დავითულიანი არის გამოცდილი პოლიტიკოსი, იყო VI მოწვევის საკრებულოს წევრი, იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ბოლო პერიოდში იყო კულტურის მინისტრის მოადგილე და მისი დაბრუნება დედაქალაქის საკრებულოში არის დიდი შენამენი. ზურაბ აბაშიძემ წარმატებები უსურვა ბექა დავითულიანს მომავალ საქმიანობაში, იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი მუშაობის მომავალი ოთხი წელი იქნება ნაყოფიერი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ბექა დავითულიანის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 42

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. მან ხსენებულ თანამდებობაზე დაასახელა თინათინ ნიბლოშვილის კანდიდატურა და აღნიშნა, რომ თინათინ ნიბლოშვილი არის საკრებულოს ღვაწლმოსილი წევრი, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში იკავებდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას, ხოლო მანამდე იყო განათლებისა და კულტურის კომისიის და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიების თავმჯდომარე. ამასთანავე, საკრებულოში საქმიანობის პერიოდში, ხელმძღვანელობდა ჯერ გენდერული თანასწორობის საბჭოს, ხოლო შემდგომ ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს. ზურაბ აბაშიძემ წარმატებები უსურვა თინათინ ნიბლოშვილს მომავალ საქმიანობაში, განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ერთად ბევრ კარგ საქმეს გააკეთებენ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე თინათინ ნიბლოშვილის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 47

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. მან ხსენებულ თანამდებობაზე დაასახელა ლევან ჯაფარიძის კანდიდატურა და აღნიშნა, რომ ლევან ჯაფარიძე „ქართული ოცნების“ გუნდის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი წევრია, VII მოწვევის საკრებულოში იყო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და ასევე, კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ხოლო მანამდე იყო კრწანისის რაიონის გამგებელი, არის ძალიან გამოცდილი და მშრომელი ადამიანი, რომელსაც უყვარს თავისი ქალაქი და რაიონი და ძალიან სასიხარულოა, რომ ის შეუერთდება საკრებულოს ხელმძღვანელთა გუნდს. ზურაბ აბაშიძემ წარმატებები უსურვა ლევან ჯაფარიძეს მომავალ

საქმიანობაში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ლევან ჯაფარიძის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ, საკრებულოს წევრების მიერ შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით, გამოაცხადა ორსაათიანი შესვენება, რის შემდეგაც რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს ორმოცდარვა წევრმა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკრებულოს ფრაქციების შექმნასთან დაკავშირებით, რეგისტრირებულია ორი განცხადება (განცხადებები და ფრაქციების სხდომის ოქმები საკრებულოს სხდომის ოქმს თან ერთვის) და განმარტა, რომ წარდგენილი დოკუმენტაცია განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულმა განყოფილებამ, რომლის დასკვნის თანახმად, განცხადებები და თანდართული მასალა (ფრაქციების პოლიტიკური პლატფორმა და წესდება) აკმაყოფილებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით ფრაქციის რეგისტრაციისთვის საჭირო აუცილებელ მოთხოვნებს და უნდა გატარდეს რეგისტრაციაში.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ რეგისტრაციის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ და განმარტა, რომ ფრაქციაში გაწევრიანებულია 42 წევრი, ფრაქციის თავმჯდომარეა ზურაბ ჩიკვილაძე, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები არიან: კახა ბერაძე, გიორგი დოხტურიშვილი, ალექსანდრე მუკათარიძე, გივი ჩხარტიშვილი, დავით ჭელიძე და დავით ხაბეიშვილი, ხოლო ფრაქციის წევრები არიან: ზურაბ აბაშიძე, ლევან აბაშიძე, ლევან არველაძე, ალექსანდრე ასათიანი, ნოდარ ბოკერია, ბექა გელენავა, მარიამ გრიგოლიშვილი, ბექა დავითულიანი, ნინო ვარდოსანიძე, კონსტანტინე ზარნაძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, ვაჟა კოკია, ლალი კოლომიკოვი, ჯაბა კოდუა, კახაბერ ლაბუჩიძე, შალვა მაისურაძე, ბექა მენთეშაშვილი, ბექა მიქაუტაძე, თინათინ ნიბლოშვილი, გურამ ნიკოლაშვილი, არჩილ ნიჟარაძე, ბექა ოდიშარია, შალვა ოგბაიძე, ვალერიან პაპუაშვილი, შალვა პერანიძე, მიხეილ რეხვიაშვილი, შალვა სუთიაშვილი, შოთა ქევხიშვილი, ცოტნე ჩიქვინიძე, ავთანდილ ცინცაძე, ლუკა ძამამია, ქეთევან ჭავჭავანიძე, მამუკა ხაზარელი, გიორგი ხუროძე, ლევან ჯაფარიძე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ხალხის ძალა“ რეგისტრაციის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ და განმარტა, რომ ფრაქციაში გაწევრიანებულია 3 წევრი, ფრაქციის თავმჯდომარეა ზაქარია წიკლაური, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე არის ოთარ ჩრდილეელი, ხოლო ფრაქციის წევრი - ირაკლი ბენდელიანი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ და განმარტა, რომ საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა განისაზღვრა საკრებულოს თერთმეტი წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვრა შემდეგნაირად: ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ცხრა წევრი, ფრაქცია „ხალხის ძალა“ - ერთი წევრი და საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულები არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვრათ ერთი კვოტა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ, საკრებულოს წევრებს მიმართა დაეფიქსირებინათ, თუ რომელ კომისიაში სურთ გაწევრიანება და, საკრებულოს წევრების მიერ შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით, გამოაცხადა ერთსაათიანი შესვენება, რის შემდეგაც რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს ორმოცდარვა წევრმა.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, მის სახელზე შესულია საკრებულოს ფრაქციების წარდგინებები და საკრებულოს წევრების განცხადებები (წარდგინებები და განცხადებები ოქმს თან ერთვის) და სხდომას გააცნო კომისიების შემადგენლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა ცნობად იქნა მიღებული.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია საკრებულოს წევრების მიერ ხელმოწერილი წარდგინებები (წარდგინებები ოქმს თან ერთვის). აღნიშნა, რომ კომისიების თავმჯდომარეებად წარდგენილი რამდენიმე კანდიდატი მეშვიდე მოწვევის საკრებულოში წარმატებით ხელმძღვანელობდა იმავე კომისიას, რომლის თავმჯდომარის თანამდებობაზეც დღეს არის დასახელებული, რამდენიმე მათგანი ხელმძღვანელობდა სხვა კომისიას, ხოლო რამდენიმე კანდიდატი არის ყოფილი გამგებელი, საჯარო მოხელე თუ პოლიტიკური მოღვაწე, რომლებიც წარმატებით ახორციელებდნენ თავიანთ უფლებამოსილებას. ზურაბ აბაშიძემ წარმატებები უსურვა თითოეულ მათგანს და თანმიმდევრულად წარადგინა მათი კანდიდატურები.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ

ხსენებულ თანამდებობაზე წარდგენილია ნინო ვარდოსანიძის კანდიდატურა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ნინო ვარდოსანიძის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 48

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ ხსენებულ თანამდებობაზე წარდგენილია ლევან არველაძის კანდიდატურა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ლევან არველაძის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 47

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ ხსენებულ თანამდებობაზე წარდგენილია ბექა მიქაუტაძის კანდიდატურა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 43

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ ხსენებულ თანამდებობაზე წარდგენილია კონსტანტინე ზარნაძის კანდიდატურა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კონსტანტინე ზარნაძის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 42

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ ხსენებულ თანამდებობაზე წარდგენილია ბექა ოდიშარიას კანდიდატურა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ბექა ოდიშარიას არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 46

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ ხსენებულ თანამდებობაზე წარდგენილია ავთანდილ ცინცაძის კანდიდატურა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ავთანდილ ცინცაძის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 42

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ ხსენებულ თანამდებობაზე წარდგენილია ლევან აბაშიძის კანდიდატურა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ლევან აბაშიძის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 43

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ ხსენებულ თანამდებობაზე წარდგენილია შალვა სუთიაშვილის კანდიდატურა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე შალვა სუთიაშვილის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ ხსენებულ თანამდებობაზე წარდგენილია ნიკოლოზ კახეთელიძის კანდიდატურა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ნიკოლოზ კახეთელიძის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ ხსენებულ თანამდებობაზე წარდგენილია კახაბერ ლაბუჩიძის კანდიდატურა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კახაბერ ლაბუჩიძის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ ხსენებულ თანამდებობაზე წარდგენილია შალვა ოგბაიძის კანდიდატურა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე შალვა ოგბაიძის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 46

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. მან ხსენებულ თანამდებობაზე დაასახელა გიორგი ხვედელიძის კანდიდატურა, რომელიც, დღეის მდგომარეობით, ხელმძღვანელობს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს და გაწეული საქმიანობის შესახებ საკრებულოს წევრებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სიტყვა გადასცა მას.

გიორგი ხვედელიძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში მუშაობს 2024 წლის თებერვლიდან და განმარტა, რომ სამსახურის ძირითადი ფუნქცია არის მერიის სტრუქტურული ერთეულების აუდიტორული შემოწმება, რა დროსაც, თბილისის მერის მიერ დამტკიცებული გეგმით, ხორციელდება შემოწმებები, რომლის ფარგლებშიც, სამსახური ამა თუ იმ ობიექტზე ნახულობს მიგნებებს, რის შემდეგაც გასცემს ობიექტისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელ

რეკომენდაციებს. მისი თქმით, სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა მონიტორინგის ჩატარება თბილისის მერიის თანამშრომლების მიერ შინაგანაწესით გათვალისწინებულ გადაცდომებზე, რასთან დაკავშირებითაც, 2024 წლიდან დღემდე, დაწყებულია 51 წარმოება, საიდანაც თოთხმეტი პირის მიმართ განხორციელდა გაფრთხილება, ოცდაექვს პირს გამოეცხადა საყვედური, ერთ პირს დაუკავდა ხელფასი 2 თვის ვადით, ოთხი პირი გათავისუფლდა სამსახურიდან, ხოლო ექვს შემთხვევაში შეწყდა წარმოება. გიორგი ხვედელიძემ აღნიშნა, რომ სამსახური, ასევე, იხილავს მოქალაქეების საჩივარ-განცხადებებს, რომლის ფარგლებშიც, დაახლოებით 600-მდე განცხადებაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება. აქვე, ისაუბრა სამსახურის მიერ განხორციელებულ აუდიტორულ შემოწმებებზე და აღნიშნა, რომ ოთხ ობიექტზე ჩატარებულია შესაბამისობის აუდიტი, ხოლო ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ერთ-ერთი შპს-ს შემოწმება. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ აუდიტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის უსაფრთხოება, რასთან დაკავშირებითაც უკვე შემუშავებულია და დამტკიცების ეტაპზეა შრომის უსაფრთხოების გეგმა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს და საკრებულოს მოუწევს მჭიდრო თანამშრომლობა, წარმატებები უსურვა გიორგი ხვედელიძეს მომავალ საქმიანობაში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ხვედელიძის არჩევის შესახებ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 43

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 17 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე

ბექა დავითულიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



სხდომის თავმჯდომარეს

ზაქონ შალვა ფშვიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოგიდგენთ ზაქონ
ფშვიძე კანდიდატურას

საკრებულოს წევრი(ები):

№	საკრებულოს წევრი	ხელმოწერა
1	ვეჩა დავითიძე	
2	ზაქონ ზაქაძე	
3	ბოსქიანი ბათინაძე	
4	ვლადიმერ ცინცაძე	
5	ლევან იოსელიანი	
6	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
7	გიორგი გოჩეგიშვილი	
8	ალექსანდრე პეტრიაშვილი	
9	ლევან ხაჭიშვილი	
10	შენიკო ნიკიშვილი	
11		გიორგი გოჩეგიშვილი

12	Հանձն ցուցյա	Հանձն
13	Զոհար կենտրոն	Զ. Կեն
14	Համայն Դպրատուն	Դ. Դպրատուն
15	Տեղիք Երկրակ	Տ. Երկրակ
16	Երես ժամանակ	Ե. ժամանակ
17	Երես ցուցանիշներ	Ե. ցուցանիշներ
18	Դպրոցի Գրքեր	Դ. Գրքեր
19	Դպրոց Դպրատուն	Դ. Դպրատուն
20	Դպրոց Դպրատուն	Դ. Դպրատուն
21	Զանգահան Զանգահան	Զ. Զանգահան
22	Զանգահան Զանգահան	Զ. Զանգահան
23	Երես Երես	Ե. Երես
24	Երես Երես	Ե. Երես
25	Երես Երես	Ե. Երես
26	Երես Երես	Ե. Երես
27	Երես Երես	Ե. Երես
28	Երես Երես	Ե. Երես
29		
30		

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ 2025 წლის 30 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.

ფრაქციის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე(ები)

1. გივი ჩხარტიშვილი
2. გიორგი დოხტურიშვილი
3. დავით ჭელიძე
4. კახა ბერაძე
5. დავით ხაბეიშვილი
6. ალექსანდრე მუკათარიძე

ფრაქციის წევრები:

1. ზურაბ აბაშიძე
2. ბექა დავითულიანი
3. თინათინ ნიბლოშვილი
4. ლევან ჯაფარიძე
5. კახაბერი ლაბუჩიძე
6. ბექა მიქაუტაძე
7. ბექა ოდიშარია
8. ნინო ვარდოსანიძე
9. ნიკოლოზ კახეთელიძე
10. შალვა ოგბაიძე
11. კონსტანტინე ზარნაძე
12. ლევან აბაშიძე
13. შალვა სუთიაშვილი
14. ავთანდილ ცინცაძე
15. ლევან არველაძე
16. ალექსანდრე ასათიანი
17. ბექა გელენავა
18. არჩილ ნიჟარაძე
19. შალვა პერანიძე

20. შოთა ქევხიშვილი
21. შალვა მაისურაძე
22. ვალერიან პაპუაშვილი
23. ბექა მენთეშაშვილი
24. ვაჟა კოკაია
25. მამუკა ხაზარელი
26. მიხეილ რეხვიაშვილი
27. ჯაბა კოლუა
28. ცოტნე ჩიქვინიძე
29. გურამ ნიკოლაშვილი
30. გიორგი ხუროძე
31. ნოდარ ბოკერია
32. მარიამ გრიგოლიშვილი
33. ლუკა ძაძამია
34. ქეთევან ჭავჭავანიძე
35. ლეილა კოლომიკოვი

გთხოვთ, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ გაატაროს რეგისტრაციაში.

დანართი:

1. ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წესდება;
2. ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ სხდომის ოქმი.

პატივისცემით,

ფრაქციის თავმჯდომარე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

სხდომის ოქმი N1

ქ. თბილისი

30 ოქტომბერი, 2025 წელი

სხდომას ესწრებოდნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები:

1. ზურაბ აბაშიძე
2. ბექა დავითულიანი
3. თინათინ ნიბლოშვილი
4. ლევან ჯაფარიძე
5. კახაბერი ლაბუჩიძე
6. ბექა მიქაუტაძე
7. ბექა ოდიშარია
8. ნინო ვარდოსანიძე
9. ნიკოლოზ კახეთელიძე
10. შალვა ოგბაიძე
11. კონსტანტინე ზარნაძე
12. ლევან აბაშიძე
13. შალვა სუთიაშვილი
14. ავთანდილ ცინცაძე
15. ლევან არველაძე
16. ზურაბ ჩიკვილაძე
17. გივი ჩხარტიშვილი
18. გიორგი დოხტურიშვილი
19. დავით ჭელიძე
20. კახა ბერაძე
21. დავით ხაბეიშვილი
22. ალექსანდრე მუკათარიძე
23. ალექსანდრე ასათიანი
24. ბექა გელენავა
25. არჩილ ნიჟარაძე
26. შალვა პერანიძე
27. შოთა ქევხიშვილი
28. შალვა მაისურაძე
29. ვალერიან პაპუაშვილი
30. ბექა მენთეშაშვილი
31. ვაჟა კოკაია
32. მამუკა ხაბარელი
33. მიხეილ რეხვიაშვილი
34. ჯაბა კოლუა

35. ცოტნე ჩიქვინიძე
36. გურამ ნიკოლაშვილი
37. გიორგი ხუროძე
38. ნოდარ ბოკერია
39. მარიამ გრიგოლიშვილი
40. ლუკა ძაძამია
41. ქეთევან ჭავჭავაძე
42. ლეილა კოლომიკოვი

სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზურაბ აბაშიძე

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს შექმნის შესახებ;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარედ ზურაბ ჩიკვილაძის არჩევის შესახებ;
3. ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე (ებ)ის თანამდებობაზე

1. გივი ჩხარტიშვილის
2. გიორგი დოხტურიშვილის
3. დავით ჭელიძის
4. კახა ბერაძის
5. დავით ხაბეიშვილის
6. ალექსანდრე მუკათარიძის

არჩევის შესახებ;

4. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წესდების დამტკიცების შესახებ.

